



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №7/16

2017 წლის 23 მარტი  
ქალაქი ფოთი

პეტიციის წარმდგენი პირების: 1. ლალი ბასილაიას (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, ჭავჭავაძის ქუჩა №53); 2. ირინა ეფრემიძის (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, მიქაბერიძის ქუჩა №46); 3. მარიკა წოწონავას (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, ელადას ქუჩა №8ა) პეტიციის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2016 წლის 27 დეკემბერს შემოვიდა პეტიცია, რომელიც ეხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (დევნილთა დასახლებაში-ახალი რაიონი, ელადას ქუჩა, მშვიდობის ქუჩა, ჯავახიშვილის ქუჩა, დანელიას ქუჩა) მინი სტადიონების მოწყობის საკითხების გადაწყვეტას.

პეტიციის წარმდგენ პირებს 2016 წლის 29 დეკემბრის წერილით განემარტათ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პეტიცია უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას, ე.ი უნდა დასაბუთდეს რამდენად პრობლემატურია საკითხი, რამდენად აუცილებელია ზემოხსენებულ ტერიტორიაზე სტადიონების მშენებლობა, მაგალითად: პეტიციაში მითითებულ დანელიას ქუჩის მიმდებარედ (პარალელური დუმბაძის ქუჩა) დაახლოებით 50 მეტრის მოშორებით მდებარეობს მინი სპორტული მოედანი, ამასთანავე, დანელიას ქუჩიდან დაახლოებით 100 მეტრის მანძილზე ( 9 აპრილის ხეივანის კვეთაზე) მდებარეობს სპორტული დარბაზი, ჯავახიშვილის ქუჩის მიმდებარედ, მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ (ბარათაშვილის ქუჩაზე), ელადას ქუჩის მიმდებარედ (საცხოვრებელი ბინების ეზოში), ელადასა და არზიანის ქუჩის კვეთაზე, ახალ რაიონში განთავსებულია მინი სტადიონები. ამასთანავე, პეტიციაში არ იყო მითითებული სავარაუდო ადგილმდებარეობა განსათავსებელი მინი სტადიონების (ელადას, მშვიდობის, ჯავახიშვილის, დანელიას ქუჩებზე, ახალ რაიონში), აქვე აღსანიშნავია, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში არის ორი დანელიას ქუჩა. ამდენად, პეტიციაში უნდა დასაბუთებულიყო სპორტული მოედნის განთავსების აუცილებლობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან

მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

**ამდენად, პეტიციის წარმდგენ პირებს ეთხოვათ, წარმოედგინათ პეტიციის დასაბუთება.**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 86-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად,

პეტიცია უნდა შეიცავდეს შესაბამის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას. ამავე, კოდექსის 86-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას. ამასთანავე, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/56 დადგენილებით დამტკიცებული საკრებულოს რეგლამენტის 119<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მიერ წარდგენილი პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს), რომელიც უნდა მოიცავდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას.

ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/56 დადგენილებით დამტკიცებული საკრებულოს რეგლამენტის 119<sup>3</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პეტიციის წარმდგენ პირებს გადაეცათ მხარდამჭერთა სიის ბლანკები. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/56 დადგენილებით დამტკიცებული საკრებულოს რეგლამენტის 119<sup>3</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენი სუბიექტი ვალდებულია, შესაბამისი ბლანკების გადაცემიდან 45 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების 119<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტებით დადგენილი ოდენობის (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს), ხელმოწერათა შეგროვება და მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენა.

პეტიციის წარმდგენმა პირებმა დადგენილ ვადაში 2017 წლის 06 თებერვალს წარმოადგინეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების ხელმოწერილი სია, რომელიც აკმაყოფილებდა კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთანავე, პეტიციის წარმდგენმა პირებმა წარმოადგინეს საკუთარი დასაბუთება პეტიციასთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 06 თებერვლის პეტიციაში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: პეტიციის პირველი აზვაცი ეხებოდა სტადიონის მოწყობას, ხოლო ბოლო აზვაციით - პეტიციის წარმდგენი პირები ითხოვდნენ ელადის ქუჩა №8, №8ა საცხოვრებელი ბინის სახურავის მოწყობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება, ე.ი 2017 წლის 6 თებერვლამდე პეტიციის წარმდგენი პირების მიერ ამომრჩევლების ხელმოწერილი სიისა და დასაბუთების წარმოდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებული იყო.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ 2017 წლის 13 თებერვალს განიხილა, წარმოდგენილი პეტიცია და დაადგინა შემდეგი:

1. პეტიციის წარმდგენმა პირებმა დადგენილ ვადაში 2017 წლის 06 თებერვალს წარმოადგინეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების ხელმოწერილი სია, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთანავე, პეტიციის წარმდგენმა პირებმა წარმოადგინეს საკუთარი დასაბუთება პეტიციასთან დაკავშირებით.

2. პეტიციით მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად, უნდა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის

შესაბამისად, მხოლოდ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტის საკრებულოსთვის წარდგენა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, პეტიცია საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს. ამავე, კოდექსის 86-ე მუხლის მე-18 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს უნდა აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს ეთხოვა პეტიციაში დასმული საკითხის განხილვა და შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა.

პეტიციის წარმდგენმა პირმა ლალი ბასილაიამ 2017 წლის 2 მარტის განცხადებით დააზუსტა მოთხოვნა, კერძოდ: მოითხოვა დევნილთა დასახლებაში, მშვიდობის და დანელიას ქუჩაზე ახალი მინი სტადიონების მოწყობა, ჯავახიშვილისა და ელადას ქუჩებზე არსებული სტადიონების რეაბილიტაცია.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 6 მარტის №1-05/423 წერილის შესაბამისად, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-18 მუხლის მე-3 პუნქტების თანახმად, ფინანსური ვალდებულების აღება ასიგნებების ზევით დაუშვებელია. შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი შეისყიდის მხოლოდ იმ სამუშაოებს, რაც გათვალისწინებულია 2017 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ამდენად, 2017 წელს დამტკიცებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანახმად, ნაწილობრივ დაკმაყოფილდება პეტიციებით მოთხოვნილი საკითხები, კერძოდ: დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, ვერ დაკმაყოფილდება პეტიციის წარმდგენი პირის-ლალი ბასილაიას მოთხოვნა-დევნილთა დასახლებაში, მშვიდობის და დანელიას ქუჩაზე ახალი მინი სტადიონების მოწყობის, ჯავახიშვილის ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაციის შესახებ. დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, განხორციელდება ახალ რაიონში და ელადას ქუჩაზე მდებარე მინი სტადიონის რეაბილიტაცია.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ 2017 წლის 20 მარტის დასკვნებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86-ე მუხლის მე-12 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიიღო გადაწყვეტილება, პეტიციის განხილვის ნაწილობრივ მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე, კერძოდ: დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, ვერ დაკმაყოფილდება პეტიციის წარმდგენი პირის-ლალი ბასილაიას, მოთხოვნა- დევნილთა დასახლებაში, მშვიდობის და დანელიას ქუჩაზე ახალი მინი სტადიონების მოწყობის, ჯავახიშვილის ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაციის შესახებ. დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, განხორციელდება ახალ რაიონში და ელადას ქუჩაზე მდებარე მინი სტადიონის რეაბილიტაცია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86-ე მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, თუ, საკრებულოს კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე, მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის ინფორმაციას იღებს ცნობად.

### **აღნიშნულიდან გამომდინარე:**

#### **მუხლი 1.**

1. ცნობად იქნეს მიღებული, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2017 წლის 20 მარტის დასკვნები, პეტიციის წარმდგენი პირების: 1. ლალი ბასილაიას (მისამართი: ქალაქ

ფოთის მუნიციპალიტეტი, ჭავჭავაძის ქუჩა №53); 2. ირინა ეფრემიძეს (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, მიქაბერიძის ქუჩა №46); 3. მარიკა წოწონავას (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, ელადას ქუჩა №8ა) პეტიციის განხილვის ნაწილობრივ მიზანშეუწონლობის შესახებ.

2.ცნობად იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ პეტიციით მოთხოვნილი საკითხები, კერძოდ: ახალ რაიონში და ელადას ქუჩაზე მდებარე მინი სტადიონის რეაბილიტაცია, უკვე გათვალისწინებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ი.კაკულია), შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების არსებობის შემთხვევაში განიხილოს პეტიციაში მოთხოვნილი მინი სტადიონების მოწყობის საკითხი.

### **მუხლი 2.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

### **მუხლი 3.**

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 23 მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია